

წინამდებარე დოკუმენტს გააჩნია მხოლოდ დოკუმენტური დანიშნულება და შესაბამისი უწყებები არ კისრულობენ რაიმე პასუხისმგებლობას მის შინაარსთან დაკავშირებით

► **B** საბჭოს 1992 წლის 10 თებერვლის
დირექტივა 92/6/EEC

ევროპული გაერთიანების ფარგლებში გარკვეული კატეგორიის ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების მონტაჟისა და გამოყენების შესახებ

(ოფიციალური ჟურნალი L 57, 2.3.1992, გვ. 27)

ცვლილება შეტანილია:

► **M1** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 5 ნოემბრის დირექტივა 2002/85/EC

ოფიციალური ჟურნალი		
N°	გვერდი	თარიღი
L327	8	4.12.2002

კორექტირებულია:

► **C1** შეცდომების შესწორება, ოფიციალური ჟურნალი L 244, 30.9.1993, გვ. 34 (92/6/EEC)

▼ **B**

**საბჭოს 1992 წლის 10 თებერვლის
დირექტივა 92/6/EEC**

**ევროპული გაერთიანების ფარგლებში გარკვეული კატეგორიის ძრავიან სატრანსპორტო
საშუალებებში სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების მონტაჟისა და გამოყენების
შესახებ**

ევროპული გაერთიანების საბჭომ,

ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ შეთანხმების, კერძოდ მისი 75-ე მუხლის საფუძველზე,

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე,¹

ევროპარლამენტის მოსაზრების საფუძველზე,²

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრების საფუძველზე,³

ვინაიდან საერთო სატრანსპორტო პოლიტიკის ერთერთ მიზანს წარმოადგენს ევროპული გაერთიანების ფარგლებში საერთაშორისო გადაზიდვებთან დაკავშირებით ზოგადი წესების შემუშავება და სატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლის ხელშეწყობა;

ვინაიდან, საგზაო მოძრაობის ზრდამ საფრთხე შეუქმნა და წარმოშვა მნიშვნელოვანი პრობლემები ყოველი წევრი სახელმწიფოს საგზაო უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიმართ;

ვინაიდან მაღალი ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალებებისა და ავტობუსებისთვის საჭირო ძრავის სიმძლავრე, რაც აუცილებელია აღმართებზე ასასვლელად, უზრუნველყოფს მათ ჰორიზონტალურ გზაზე გადაჭარბებული სიჩქარით გადაადგილების შესაძლებლობით, რაც არ შეესაბამება აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების იმ სხვა კომპონენტების სპეციფიკაციებს, როგორცაა მუხრუჭები და საბურავები;

ვინაიდან აღნიშნული მიზნიდან და ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მიზნებიდან გამომდინარე, სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების მონტაჟი და გამოყენება სავალდებულო გახდა გარკვეული კატეგორიის ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის;

ვინაიდან, სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების ხელსაყრელი ეფექტები გარემოს დაცვასა და ენერჯის ხარჯვასთან, ძრავისა და საბურავების ცვეთასა და გზის

¹ ოფიციალური ჟურნალი № C 225, 30.8.1991, გვ. 11

² ოფიციალური ჟურნალი № C 13, 20.1.1992.

³ ოფიციალური ჟურნალი № C 40, 17.2.1992

უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოწყობილობები დაექვემდებარება ჩვეულებრივ ექსპლუატაციას;

ვინაიდან სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების გამოყენება არ ემსახურება სხვა მიზანს, გარდა მოწყობილობების ტექნიკურად გამართულ დონეზე შენარჩუნების მიზნისა, რაც იძლევა ყოველგვარი თაღლითობის შემთხვევის თავიდან არიდების გარანტიას;

ვინაიდან, პირველი ეტაპის სახით, მოთხოვნები უნდა იქნას წარმოდგენილი მხოლოდ ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების ძალიან მაღალი ტვირთამწეობის კატეგორიების შემთხვევაში, რომლებიც ძირითადად ჩართულნი არიან საერთაშორისო გადაზიდვებში და შემდგომ ამისა, წევრ სახელმწიფოებში არსებული ტექნიკური შესაძლებლობებისა და გამოცდილების მიხედვით, აღნიშნული მოთხოვნები შესაძლებელია გავრცელდეს ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების დაბალი ტვირთამწეობის კატეგორიებზეც;

ვინაიდან ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში, ექსკლუზიურად სახიფათო ტვირთის გადაზიდვისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების კომპლექტით, რომელთა მაქსიმალური სიჩქარეც ნაკლები იქნება წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სიჩქარეზე;

ვინაიდან აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში, დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ ნებართვა უზრუნველყონ შესაბამისი მარეგულირებელი აქტები მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით, რადგან ისინი ზრდიან გზის უსაფრთხოებასა და საზოგადოების სამოქალაქო თავდაცვის დონეს, წინამდებარე დირექტივის მიზნების შესაბამისად;

ვინაიდან სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების მონტაჟმა წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ M3 და N3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებში, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აღნიშნული დირექტივის კანონიერ ძალაში შესვლამდე და გათვალისწინებულნი არიან ექსკლუზიურად ეროვნული გადაზიდვის ოპერაციებისთვის, შესაძლებელია წარმოშვან ზედმეტი ხარჯი გარკვეულ წევრ სახელმწიფოებში; ვინაიდან აღნიშნული წევრი სახელმწიფოებისთვის უნდა იყოს შესაძლებელი გადადონ წინამდებარე დირექტივის მე-2 და მე-3 მუხლების გამოყენება შესაბამის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით;

ვინაიდან წინამდებარე დირექტივა არ ახდენს უარყოფით გავლენას წევრი სახელმწიფოების პრეროგატივებზე საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებით სიჩქარის შეზღუდვის მიმართ;

დაამტკიცეს წინამდებარე დირექტივა:

▼**M1**

მუხლი 1

წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, ტერმინი 'ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება' ნიშნავს ნებისმიერი სახის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც წარმოდგენილია M2, M3, N2 ან N3 კატეგორიის ფარგლებში, გათვალისწინებულია გზებზე

გამოსაყენებლად და გააჩნია მინიმუმ ოთხი თვალი და 25 კმ/სთ-ზე მაღალი მაქსიმალური საანგარიშო სიჩქარე.

M2, M3, N2 ან N3 კატეგორიები გაგებული უნდა იქნას, როგორც 70/156/EEC დირექტივის¹ II დანართში განსაზღვრული კატეგორიები.

მუხლი 2

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ პირველი მუხლით გათვალისწინებული M2 და M3 კატეგორიების ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება გზებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღჭურვილი იქნება სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობით, რის გამოც მათი სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 100 კილომეტრს საათში.

2005 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა მაქსიმალური მასა აღემატება 10 ტონას, კვლავ უნდა იქნას აღჭურვილი იმ მოწყობილობებით, რომელზეც მაქსიმალური სიჩქარე განისაზღვრება 100 კილომეტრით საათში.

მუხლი 3

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ N2 და N3 კატეგორიის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება გზებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღჭურვილი იქნება სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობით, რის გამოც მათი სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 90 კილომეტრს საათში.
2. წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ექსკლუზიურად სახიფათო ტვირთის გადაზიდვებისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებში არსებული სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობები ისე იყოს წარმოდგენილი, რომ მათი მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატებოდეს 90 კილომეტრს საათში.

მუხლი 4

1. 10 ტონაზე მეტი მაქსიმალური მასის მქონე M3 კატეგორიისა და N3 კატეგორიის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, მე-2 და მე-3 მუხლები გამოიყენება:

¹ ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების ტიპის დამტკიცებასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების ჰარმონიზაციის შესახებ საბჭოს 1970 წლის 6 თებერვლის 70/156/EEC დირექტივა (ოფიციალური ჟურნალი L 42, 23.2.1970, გვ. 1). დირექტივაში ბოლო ცვლილება განხორციელდა კომისიის 2001/116/EC დირექტივის საფუძველზე (ოფიციალური ჟურნალი L 18, 21.1.2002, გვ. 1).

- (ა) 1994 წლის 1 იანვრიდან რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ;
- (ბ) 1988 წლის 1 იანვარსა და 1994 წლის 1 იანვარს შორის პერიოდში რეგისტრირებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ;
- (i) 1995 წლის 1 იანვრიდან იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება ხდება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო გადაზიდვებში;
- (ii) 1996 წლის 1 იანვრიდან, იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება ხდება ექსკლუზიურად ეროვნულ გადაზიდვებში,
2. M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების, 5 ტონაზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 10 ტონის მაქსიმალური მასის მქონე M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისა და N2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, მე-2 და მე-3 მუხლები მოქმედებს:
- (ა) 2005 წლის 1 იანვრიდან რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების მიმართ;
- (ბ) 2001 წლის 1 ოქტომბერსა და 2005 წლის 1 იანვარს შორის პერიოდში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებს 88/77/EEC დირექტივის¹ მოთხოვნებს:
- (i) 2006 წლის 1 იანვრიდან იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება ხდება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო გადაზიდვებში;
- (ii) 2007 წლის 1 იანვრიდან იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება ხდება ექსკლუზიურად ეროვნულ გადაზიდვებში.
3. 2005 წლის 1 იანვრიდან არაუმეტეს სამწლიანი პერიოდის განმავლობაში, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გაათავისუფლოს მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული დებულებების მოქმედებიდან M2 კატეგორიის და 3.5 ტონაზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 7.5 ტონა მაქსიმალური მასის მქონე N2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები, რეგისტრირებულნი ეროვნულ რეესტრში, რომლებიც არ მოძრაობენ სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი 5

¹ სატრანსპორტო საშუალებებში არსებული დიზელის ძრავებიდან გამოყოფილი აირის დამაბინძურებელი ნივთიერებების გამონაბოლქვის წინააღმდეგ განხორციელებულ ზომებთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების ჰარმონიზაციის შესახებ საბჭოს 1987 წლის 3 დეკემბრის 88/77/EEC დირექტივა (ოფიციალური ჟურნალი L 36, 9.2.1988, გვ. 33). დირექტივაში ბოლო ცვლილება განხორციელდა კომისიის 2001/27/EC დირექტივის საფუძველზე (ოფიციალური ჟურნალი L 107, 18.4.2001, გვ. 10).

1. მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობები უნდა აკმაყოფილებდეს 92/24/EEC დირექტივის¹ დანართით გათვალისწინებულ ტექნიკურ მოთხოვნებს. თუმცა წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული და 2005 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული ყოველი სატრანსპორტო საშუალება კვლავ უნდა იყოს აღჭურვილი სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობებით, რომლებიც აკმაყოფილებს კომპეტენტური ეროვნული ორგანოების მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს.
2. სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობები მონტაჟდება წვერი სახელმწიფოების მიერ დამტკიცებული სახელოსნოების ან ორგანოების მიერ.

▼B

მუხლი 6

მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ მოქმედებს შეიარაღებული ძალების, სამოქალაქო თავდაცვის ორგანოების, სახანძრო და სხვა გადაუდებელი დახმარების სამსახურების, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ძალების სარგებლობაში არსებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ.

იგივე წესი მოქმედებს იმ ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებთან მიმართაც:

- მათი კონსტრუქციის მიზეზით, შეუძლებელია მათი მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებულ სიჩქარეზე მაღალი სიჩქარით მართვა;
- გამოიყენება გზებზე არსებული ტექნიკური ტესტირებისთვის;
- გამოიყენება მხოლოდ ურბანულ არეალებში არსებული საზოგადოებრივი სამსახურებისთვის.

▼M1

მუხლი 6ა

2002 წლიდან 2010 წლამდე პერიოდისთვის საგზაო უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების პროგრამის ნაწილის სახით, კომისია შეაფასებს 7,5 ტონა მაქსიმალური მასის ან წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სიჩქარეზე ნაკლები სიჩქარის მქონე M2 და N2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მიერ გზის უსაფრთხოებასა და საგზაო მოძრაობის რეგულირების მიზნით გამოყენებულ სიჩქარის შემზღუდავ მოწყობილობებს.

საჭიროების შემთხვევაში, კომისია წარმოადგენს შესაბამის წინადადებებს.

მუხლი 7

¹ გარკვეული კატეგორიის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდავ მოწყობილობებსა და მსგავსი სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების ინტეგრირებულ სისტემებთან დაკავშირებით საბჭოს 1992 წლის 31 მარტის 92/24/EEC დირექტივა (ოფიციალური ჟურნალი L 129, 14.5.1992, გვ. 154).

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ კანონების, მარეგულირებელი აქტებისა და ადმინისტრაციული ნორმების კანონიერ ძალაში შესვლას, რაც აუცილებელია მათთვის წინამდებარე დირექტივის სისრულეში მოსაყვანად 1993 წლის 1 ოქტომბრამდე. ისინი დაუყოვნებლივ მიაწვდიან ინფორმაციას კომისიას აღნიშნულის შესახებ.

წევრი სახელმწიფოების მიერ ზემოაღნიშნული ზომების მიღების შემდგომ, ისინი მიუთითებენ წინამდებარე დირექტივას ან დაამატებენ მითითებებს მათ ოფიციალურ პუბლიკაციებთან დაკავშირებით. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ მეთოდს, რომლის მიხედვითაც გაკეთდება ამგვარი მითითებები.

2. წევრი სახელმწიფოები წარუდგენენ ევროკომისიას ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების ტექსტს, რომელსაც ისინი დაამტკიცებენ წინამდებარე დირექტივით რეგულირებულ სფეროში.

მუხლი 8

წინამდებარე დირექტივა მოქმედებს წევრი სახელმწიფოების მიმართ.